კაცი, სახელად უვე

ფრედრიკ ბაკმანი

2017-06-28

ფრედრიკ ბაკმანი

„გამომცემლობა პაღიტრა L“ პროექტით „წლის ბესტსელერი“ მკითხველს სთავაზობს უახლესი მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს. თითოეული წიგნი და ავტორი არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. ბუკერის, ნობელის,

პუღიცერის, გონკურების, IMPAC-ის, სერვანტესის პრემიის ღაურეატი მწერღები და წიგნები კრიტიკოსებმა გამორჩეუღად შეაფასეს და წღის ბესტსეღერებად აღიარეს.

ინგღისურიდან თარგმნა **პაატა ჩხეიძემ**

მთავარი რედაქტორი მაია აღუდაური
რედაქტორი ღია შარვაშიძე
კორექტორები: მაია შვეღიძე, მარინა ინანიშვიღი
პასუხისმგებეღი რედაქტორი ნატაღია ახვღედიანი
პროექტის მენეჯერი ანი თოდრია
დიზაინერი თეკღა გიაშვიღი
კომპიუტერუღი უზრუნვეღყოფა ღევან ღაცაბიძე

Originally published as EN MAN SOM HETER OVE by Fredrik Backman
Copyright © Fredrik Backman 2012
Published by agreement with Salomonsson Agency
All rights reserved

© **გამომცემღობა პაღიტრა L, 2017**
ყვეღა უფღება დაცუღია

*** * ***

ფრედრიკ ბაკმანი – პრემია impac-ის ნომინანტი

მსოფღიოში მისი წიგნების 65 მიღიონი ეგზემპღარია გაყიდუღი.

მისი რომანები 43 ენაზეა თარგმნიღი.

რომანი, „კაცი, სახეღად უვე“, გამოქვეყნებისთანავე ბესტსეღერად იქცა.

წიგნის პერსონაჟი მწერღის ბღოგში დაიბადა – გამოკითხვაში ათას მკითხვეღზე მეტმა ხმა მისცა, დაწერიღიყო რომანი კაცზე, სახეღად უვე.

ამავე სახეღწოდების ფიღმი, „კაცი, სახეღად უვე“, „ოსკარის“ ორ ნომინაციაზე წარადგინეს.

„ეს არის თბიღი, ნაზი ამბავი სიყვარუღზე, დანაკარგზე... მასში დასამახსოვრებეღ პერსონაჟებს ვხვღებით, განსხვავებუღი ხასიათითა და შავი იუმორით. ამ წიგნის წაკითხვა თავიდან ბოღომდე სიამოვნებაა“.

Sunday Express

„ეს სახაღისო წიგნი ფენტეზის ჟანრის ყვეღაზე სერიოზუღ მკითხვეღსაც კი მოხიბღავს. წიგნი სასიამოვნო საკითხავია¡‘

San Francisco Chronicle

„ნამდვილად მომხიბლავი რომანია. თქვენ იცინებთ, იტირებთ, თანაგრძნობას გამოიჩენთ... შეიძლება სკანდინავიაშიც კი მოგინდეთ საცხოვრებლად გადასვლა, იქ ხომ ყველაფერი მიმზიდველია?¡‘

People

„კაცს, სახელად უვე, მეზობლებთან კონფლიქტი აქვს, მოიშინაურებს კატას და ყველას შეაყვარებს თავს. რომანის დასრულების შემდგომ კი ყველას მისი ჩახუტების სურვილი გაუჩნდება“.

Spectator

„არსებობენ პერსონაჟები, რომლებიც გვართობენ და გვახალისებენ, ან კიდევ ისეთები, რომლებიც გულს გვიჩუყებენ. ამ წიგნის მთავარი გმირი კი, უვე, უფრო მრავლისმეტყველია. იგი გვაფიქრებს, თუ ვინ ვართ ჩვენ და როგორ გვინდა, რომ ვიცხოვროთ“.

Publishers weekly

*** * ***

ძვირფას ნედას.
დაე, მან ყოველთვის გაცინოს.
ყოველთვის.

თავი 1

კაცი, სახელად უვე, ყიდულობს კომპიუტერს, რომელიც კომპიუტერი არ არის

უვე ორმოცდაცხრამეტი წლისაა. ის «სააბით» დადის. იმ კატეგორიის ხაღხს მიეკუთვნება, რომლებიც, თუ არ მოეწონეთ, თქვენკენ ხელს გამოიშვერენ, თითქოს მძარცველი იყოთ, მისი თითი კი პოლიციელის ფარანია. ის ახლა მაღაზიის დახლთან დგას, სადაც იაპონური მანქანების მფლობელები თეთრ კაბელს ყიდულობენ, და პატარა, თეთრ ყუთს იქნევს:

— მაშ, ეს ოუპადია, არა?

აშკარად მცირე მასის მქონე ახალგაზრდა გამყიდველი კაცი ნერვიულობს. როგორც ჩანს, ერთი სული აქვს, უვეს კოლოფი გამოართვას.

— მართალს ბრძანებთ, აიპადია... ოღონდ იქნებ ასე არ აჯანჯღაროთ?

უვე კოლოფს ისე უყურებს, როგორც უაღრესად საეჭვო ნივთს. ის თითქოს სკუტერზე შემოსკუპებულ, სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილ ყმაწვილს უჭირავს, რომელიც მას «მეგობაროთი» მიმართავს და რაღაც საათის მიყიდვას ცდილობს.

— გასაგებია. მაშასადამე, ეს კომპიუტერია, არა?

გამყიდველი თავს უკრავს, მაგრამ მაშინვე ორჭოფობა ეტყობა და თავს ენერგიულად აქნევს.

— დიახ... იმის თქმა მინდა, რომ ეს აიპადია. ზოგი ტაბლეტს ეძახის, ზოგიც პლანშეტს. გააჩნია, როგორ შეხედავთ.

სანამ კოლოფს კვლავ შეაჯანჯღარებდეს, უვე კაცს ისე უყურებს, თითქოს იგი სიტყვებს უკუღმა ამბობდეს.

— მაგრამ ეს კარგი რამ არის, არა? ეს ნივთი.

გამყიდველი თავს აქნევს, თუმცა აშკარად შეცბუნებულია.

— დიახ. ანუ... რას გულისხმობთ?

უვე ოხრავს და ნელა, გარკვევით ამბობს თითოეულ სიტყვას, თითქოს ერთადერთი პრობლემა თანამოსაუბრის სიყრუე ყოფილიყოს.

— ეს. კარგი. რამ. არის. კარგი კომპიუტერია?

გამყიდველი ნიკაპს ისრესს.

— იმის თქმა... დიახ... მართლა კარგია... თუმცა გააჩნია, რა სახის კომპიუტერი გინდათ.

უვეს თვალები უფართოვდება.

— მე კომპიუტერი მინდა! ჩვეულებრივი, ნორმალური კომპიუტერი!

ერთხანს ორივე თანამოსაუბრე დუმს. შემდეგ გამყიდველი ახვევლებს.

— უნდა გითხრათ... ეს ჩვეულებრივი კომპიუტერი არ არის. იქნებ თქვენ...

გამყიდველი ჩერდება, როგორც ჩანს, შესაფერის სიტყვას ეძებს, რათა მყიდველს საჭირო ასოციაცია გაუჩინოს, შემდეგ კვლავ ახვევლებს და ამბობს:

— ...ლეპტოპი გინდათ?

უვე გაცხარებით აქნევს თავს და მრისხანე სახით დახლისკენ იხრება:

— არა, ლეპტოპი არ მინდა. კომპიუტერი მინდა.

გამყიდველი შემწყნარებლურ კიდოზე გადადის:

— ლეპტოპიც კომპიუტერია.

უვე შეურაცხყოფილი სახით შეჰყურებს გამყიდველს და თითს დახლისკენ იშვერს.

— გგონიათ, ეს არ ვიცი?

კვლავ დუმილი. თანამოსაუბრეები იმ ორ დუელანტს ჰგვანან, რომლებმაც მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ პისტოლეტები შინ დარჩენიათ. უვე ყუთს ისე მისჩერებია, თითქოს მისგან აღიარებით ჩვენებას ელოდება.

— აბა, კლავიატურა სად არის დამალული?

ახალგაზრდა კაცი ხელისგულებს დახლის კიდეს უსვამს და ფეხს ნერვიულად ინაცვლებს, როგორც ეს საცალო ვაჭრობის დამწყებ გამყიდველებს ახასიათებთ,